ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5125932

ნომერი: AR1761509

თარიღი : 25.07.2020

გაცემის თარიღი : 01.10.2020

გაცნობის თარიღი : 01.10.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 263 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 263 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ზედაზენი , N4 კორპუსის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა წერეთელი პ/ნ 01026011923
- ქ. თბილისი, ცინცაძის ქ. #12, მე-10 ბლოკი, ბინა 15-03

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 202014034
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 19.05.2020

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 105
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 15.05.2020

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი - ბლოკი "B"
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მიხეილ მახათაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ლივინ დეველოპმენტ
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400235027
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მამუკა წერეთელი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01026011923

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 12808.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 12397.9
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 11542.9
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 7332.8
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1301.3
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1396.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1512.8
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 39397.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 34444.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 4953.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 45.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 41.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.6
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 885
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 10510.3; 0.82("B" ბლოკი); 2.84(საერთო)
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4292.1; 0.34

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:
1. საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი. -> .გენერალური გეგმის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით.: დაიტანეთ სერვიტუტი და სრულად დაიცავით აღნიშნული. გაითვალისწინეთ, სერვიტუტზე შენობის და მისი ნაწილის განთავსება არ არის დასაშვები.

2. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
დამატებით ჩაწერეთ ყველა ბლოკის საერთო ფართობი ასახული კოეფიციენტში.

3. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
.. მიუთითეთ ცალ-ცალკე ყველა ბლოკის ფართობი, შესაბამისი დასათაურებით, ასევე მიუთითეთ ჯამური მაჩვენებელი ასახული კოეფიციენტში.
.. აივნებზე მდებარე დახურული ფართები სრულად შეიყვანეთ კ-2 კოეფიციენტში.

.. დამატებით წარმოადგინეთ კ-2 კოეფიციენტის კროკები შესაბამის სართულებთან ერთად (სართულის გასწვრივ) და მიუთითეთ სართულის საერთო ფართობი.
.. სახურავზე მდებარე კიბის უჯრედის ფართობი კ-2 კოეფიციენტში შეიყვანეთ 1/2-ით.
.. კოეფიციენტები დაამრგვალეთ მეათედის სიზუსტით.

4. შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.:
.. სრულად დაიტანეთ სერვიტუტი და დაიცავით აღნიშნული.
.. დაიტანეთ აბსოლუტური ნიშნული, ნულოვან ნიშნულთან მიმართებით.
.. დაიტანეთ ექსპლიკაციები შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით. წარმოდგენილი სახით ბინების დანომვრა არ არის მისაღები.

5. შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.:
სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაცია, ფასადების დეტალური პროექტი, არქიტექტურული ელემენტების და სამშენებლო მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაცია ატვირთეთ ფასადების ველში.

6. საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნა. -> .კონსტრუქციული დასკვნის pdf ფაილი.:
მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნა არ არის მისაღები, საექსპერტო დასკვნა მომზადებულია A ბლოკზე, ხოლო განაცხადით განიხილება B ბლოკი.

7. წარმოდგენილი უნდა იქნას კონსტრუქციული პროექტი და კონსტრუქციული სივცითი მოდელის ანგარიში ილუსტრირებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, ექსპერტირებული საანგარიშო კომპლექსიდან ასევე აღნიშნული პროექტის ექსპერტიზა.

8. ავტოსადგომების სქემაზე განსხვავებული ფერით აღნიშნეთ B ბლოკის კუთვნილი ავტოსადგომები.

9. დამატებით წარმოადგინეთ გაზმომარაგების, გათბობის, წყალმომარაგების და წყალარინების სქემები.

10. საჭიროების შემთხვევაში საპროექტო გადაწყვეტის ზეგავლენის შეფასება არსებულ საკვლევ სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურაზე -> შეფასების pdf ფაილი: წარმოდგენილი განაცხადი 60-01202751925 (01/10/2020) ნომრით გადაგზავნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში პოზიციის დასაფიქსირებლად, რომლის პასუხსაც გაცნობებთ დამატებით. აღნიშნული პოზიციის მიღებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

11. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტი -> გამწვანების პროექტის pdf ფაილი: წარმოდგენილი განაცხადი 60-01202752764 (01/10/2020) ნომრით გადაგზავნილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში პოზიციის დასაფიქსირებლად, რომლის პასუხსაც გაცნობებთ დამატებით. აღნიშნული პოზიციის მიღებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება.

მითითებული ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.